

შედულება



მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები -

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში/ Third level vocational qualification in Welding;

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში /Forth level vocational qualification in Welding;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია - უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კარდის მომზადება.

დასაქმების შესაძლებლობები - შემდულებლები და აირმჭრელები ადულებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში:

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით შემდულებლები და აირმჭრელები -7212;
- საქსტატის ეკონომიკურ კლასიფიკატორში იდენტიფიცირებული - 25 ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა

პროგრამის დაშვების წინაპირობები:

- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა;
- ასაკი არანაკლებ 17 წელი;
- მესამე საფეხურის შემთხვევაში საბაზო განათლება
- მეოთხე საფეხურის შემთხვევაში სრული ზოგადი განათლება.

სწავლის შედეგები:

მესამე საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით;
2. გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად;
3. შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით;
4. დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით;
5. შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით;
6. შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედულების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით;
7. დაადგინოს დეფექტები და წუნები;
8. შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

სწავლის შედეგები

მეოთხე საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით;
2. გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად;
3. შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით;
4. დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით;
5. შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით;
6. შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედულების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით;
7. დაადგინოს დეფექტები და წუნები;
8. შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.
9. უზრუნველყოს შედულების პროცესების ხარისხიხი;
10. გამოიყენოს კომპიუტერული ტექნოლოგიები შედულების პროცესების სამართავად;
11. გამოიყენოს და გადასცეს ტექნიკური ინფორმაცია;
12. დაგეგმოს შედულების პროცესი.

პროგრამის მოცულობა მესამე საფეხურზე: 38 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა მესამე საფეხურზე: 6 თვე

პროგრამის მოცულობა მეოთხე საფეხურზე: 79 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა მეოთხე საფეხურზე: 15 თვე

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს. ანაგი
2. შპს. შარაგზა მშენი
3. შპს. ორბი გრუფი
4. შპს. გზა
5. შპს. MTS